

თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის
საბჭოს სხდომის

ოქმი № 5

ქ.თელავი

04.12.2018

თავმჯდომარეობდა : ა. თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ნინო ელიოზიშვილი, მაია მარკოზაშვილი, ნელი აბეჩხრიშვილი, მედეა ჩაფურიშვილი, ელენე ღარიბაშვილი, გელა აზიკური, ლევან ლილუაშვილი, გიგა მამუკელაშვილი, მალხაზ ყურბანოვი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის სოციალური მუშაკი - თინათინ გოგიაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - გიორგი ენუქიძე; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი ეკატერინე მიქელაძე; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი - ნინო ჩურხაული; ჟურნალისტი - მკა მოსიაშვილი; საკრებულოს წევრი - იოსებ პარწიკანაშვილი.

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტში 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების გენდერულ ჭრილში შეფასებისა და მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების შესახებ.

მოსმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების გენდერულ ჭრილში შეფასებისა და მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების შესახებ.

აზრი გამოთქვას: საბჭოს თავმჯდომარემ ა. თხლაშიძემ ისაუბრა 2019 წლის მუნიციპალურ პროგრამებში გამოვლენილი საჭიროებების ასახვის აუცილებლობის შესახებ.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა გ. ენუქიძემ გააცნო საბჭოს წევრებს თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები.

საბჭოს მდივანმა ნ. აბეჩხრიშვილმა წარმოადგინა თელავის მუნიციპალიტეტში 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების და ამავე წლის პრიორიტეტის დოკუმენტის გენდერული ანალიზი; ასევე გააცნო საბჭოს წევრებს

მუნიციპალიტეტის ორგანოებში და მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ კერძო სამართლის იურიდიული პირებში დასაქმებულ პირთა სტატისტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ ა. თხლაშიძემ წარმოდგენილი 2018 წლის ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე მოახდინა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შეფასება და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის ასპექტები. საბიუჯეტო რესურსები გადანაწილებულია გენდერული პერსპექტივების ინტეგრირების ხელშესაწყობად, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს დანარჩენი წევრებიც.

გადაწყვეტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი მიღებულ იქნას, როგორც გენდერულად მგრძობიარე.

თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე